# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— სამშაბათი, 29 აგვისტო 1900 წ. № 1224

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

## წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად, 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

შესახებ ყოველივე საქმეებისა—ნაწარმოებთა ანუ ბუნებითი სიმდიდრის **ქართველთა მემამულეთა**, მიჰმართავენ მსურველნი დროებით ბიუროში **რაფიელ ისარლოვს**, ქართველ მემამულეთა წარმომადგენელს პარიზის გამოფენაში.

ადრესი: **RAPHAËL ISARLOFF.**

(6. 16—5) **Paris, rue des Ecoles, 40.**

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა

**იწვევს მსურველთ**

(ქალებს და ვაჟებს)

**სცენაზე სამსახურისათვის**

(მსახიობებათ)

მსურველნი მიჰმართავენ ბ-ნს **ვ. გუნიას** საზოგადოების კონტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ-დღე, დილის თერთმეტ საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (5—6.—5)

## სკოლა და პანსიონი

**ა. ა. მამულაიშვილისა**

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის. ყმაწვილების მიღება—30 აგვისტოდგან.

**ადრესი:** ოლგინის ქუჩა (Ольгинская ул.), სახლი გოგნიევისა, ზემმელის აფთექის მახლობლად. (10—2)

ვაუწყებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ გაზეთ

**„ცნობის ფურცლის“**

დაბარება **თვიურად** ან **მეტის ვადით** შეიძლება მხოლოდ თვის **პირველ** რიცხვიდან დამლევამდის.

## რედაქციისაგან

გავახსენებთ ჟურნალ „მოამბის“ და გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ხელის მომწერთ, რომ დარჩენილი ხვედრი გადასახადისა **უეჭველად პირველ სექტემბრამდე უნდა წარმოადგინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სექტემბრიდან ჟურნალის და გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.**

## ახალი ამბავი

— მდგომარე წლის 27 თებერვალს შესრულდა 50 წელიწადი, რაც არსებობს კავკასიის სამეურნეო საზოგადოება, რომელიც დაარსებულ იქმნა, თანახმად მთავარმართებლის ვორონცოვის თხოვნისა, გასავრცელებლად კავკასიაში სამეურნეო ცოდნისა და სწავლისა. რამდენად სავსებით შეასრულა ან ახლა ასრულებს პროგრამას თავის მოქმედებისას, ეს ცალკე გამოსარკვევი საგანია; ეს კია სათქმელი, რომ ადმინისტრატიულის წესით დაარსებულ საზოგადოებას აქამდე ვერ მოუპოვებია მისდამი ყურადღება იმ ხალხისა, ვისთვისაც არის დაარსებული. ტაატით მიმდინარე მისი საქმეები ცხადად ამტკიცებენ, რომ საქმეს ვერ უვლიან, ვერ აცხოველებენ ისე, როგორც ეჭირვება თვით კავკასიის მეურნეთ, რომელთა ინტერესების დასაცველად და მიზნის მისაღწევად დაარსებულია ეს საზოგადოება. ბევრნი ამის მიზეზად ჰხადიან ხალხის გულგრილობას ყველა ახალისადმი, მცხოვრებთა დაუდევნელობას, გაუნათლებლობას და სხვა. ჩვენის აზრით, ეს სამდურავი მეურნეთადმი მოკლებულია ნიადაგს. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომლის ყოველივე მოქმედება მიმართული უნდა იყოს სოფლებისაკენ, რომელიც უნდა ყოველ ღონისძიებასა ხმარობდეს ადგილობრივ გააცნოს მეურნენი ყოველ იმას, რაც მეურნეობის გასაუმჯობესებლად არის ცნობილი და სხვა, ამ ორმოც და ათის წლის განმავლობაში ამ მხრივ ბევრი არა გაუკეთებია-რა, თუმცა ამგვარ მოღვაწეობისათვის ფართო მოედანი აქვს ჩვენში.

თითქმის ყოველი კუთხე ჩვენის მხარისა მოწყვეტილია ერთი-ერთმანეთისაგან; ამისათვის ხშირია ასეთი მოვლენა, რომ, მაგალითად, ქართლის მცხოვრებლებმა ქართველებმა არ იციან აბრეშუმის ჭიის მოვლა, სხვა და სხვა ქსოვილების ქსოვა და სხვა მაშინ, როდესაც საქართველოს მეორე კუთხეში ერთიც არის გავრცელებული და მეორეც; აგრეთვე ყველის კეთება, ხეხილის მოშენება და სხვა.

სამეურნეო საზოგადოების დანიშნულება, ჩემის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ თუ იგი მოკლებულია ღონისძიებას ყოველ კუთხეში შესაფერი პროფესიონალური სკოლები დააარსოს, მოძრავი პრაქტიკული კურსების გამართვით მაინც უნდა გაავრცელოს ხალხში ისეთი ცოდნა, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ადგილისათვის იმის მიხედვით, თუ რა ნიადაგისაა ადგილი, რა ჰავისა, რა მცენარეულობაა იქ და სხვა. დიდი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებთა წასახალისებლად ხალხის ნაწარმოების დრო გამოშვებითი გამოფენას, მხოლოდ ესე გამოფენანი სასურველია უფრო ხშირად იყოს და მასთან აუცილებლად მოძრავნი, რომ გამოფენილი მართლა იმათ განიხილონ, ვინც მწარმოებელნი არიან და არა ქალაქის ხალხმა, რომელთათვის ეს გამოფენანი გასართობ საგანს წარმოადგენენ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების სახსოვრად კავკასიის სამეურნეო საზოგადოება მომავალ 1901 წელს ჰმართავს კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენას.

ეს გამოფენა მოკლებული იქმნება კავკასიის მცხოვრებთა უმრავლესობისათვის ყოველ იმ ინტერესს, რისთვისაც იმართება იგი, თუ „საზოგადოება“ არ ითავებს აქ გამოფენის გათავების შემდეგ ადგილობრივაც ზედ მიწევნით გააცნოს მწარმოებელნი გამოფენილ საგნებს და მათ გაკეთებას, მომზადებას. უიმისოდ, ვიმეორებთ, ამ გამოფენით თითქმის არავინ ისარგებლებს.

მართალია, ამას კარგი ორგანიზაცია და ფული უნდა, მაგრამ

სამაგიეროდ ნაყოფსაც დიდს მოიტანს და, იმედია, სამრეწველო, სამიწად-მოქმედო და ფინანსთა სამინისტროებიც ხელს შეუწყობენ, რომ საქმე ამ გვარად მოეწყოს.

✦ მკითხველებმა იციან, რომ ამ ზაფხულს გამოვიდა ახალი დებულება **სახელმწიფო ტყეების მართვა-მფლობელობის მოწესრიგების** შესახებ. ახალის დებულების შემოღებისა და დაწვრილებით წესრიგის შედგენისათვის შემდგარია საგანგებო კომისია, რომელიც ენკენისთვის პირველ რიცხვებში დაიწყებს მუშაობას. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული კავკასიაში ი. ს. მედვედევი. წევრებად იქმნებიან სახელმწიფო ქონებათა გამგენი ამიერ კავკასიაში, რწმუნებულის თანაშემწე, მეურნეობის ინსპექტორი, კავკასის უმაღლეს ადმინისტრაციის, სახელმწიფო კონტროლის და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელნი. გარდა ამისა თავმჯდომარეს ნება მიეცა მოიწვიოს მცოდნე პირები კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

✦ სამეურნეო საზოგადოების საბჭოს თხოვნით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ დანიშნა თავის წარმომადგენლებად იმ კომისიაში, რომელსაც მიენდო **მომავალ სამეურნეო გამოფენის** პროგრამის შემუშავება, ბ.ბ-ნნი ალ. ჰყონია და ივ. ზურაბიშვილი.

✦ ტფილისის საბჭოს პირველს სხდომაზედ ზაფხულის შემდეგ, რომელიც დაინიშნა 4 ენკენისთვისათვის, უნდა **გაირჩეს სულ 47** საქმე.

✦ ამ დღეებში გამოვიდა სამიწად-მოქმედო სამინისტროს გამოცემა ქართულს ენაზე: „მოკლე დარიგება **ამერიკულ ვაზის** მოშენებისათვის“. წიგნი შედგენილია აგრონომ სტაროსელსკის მიერ.

✦ კავკასიის საბრეშუმო სადგურის გამგე **ნ. ნ. შავროვი** 26 აგვისტოს წავიდა სამხრეთ-რუსეთში ბჟოლის ხეებისა და ნერგების დასათვალიერებლად. იქიდან ბ-ნი შავროვი მიდის ევროპასა და ალჟირში მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის მდგომარეობის შესასწავლად.

✦ ტფილისის ბოტანიკურ ბაღს მოუმზადებია სატყეო დეპარტამენტისათვის 3 ფუთი **ბჟოლის** თესლი, რომელიც უნდა დაურიგონ სამხრეთ-რუსეთის მცხოვრებთ მეაბრეშუმეობის გაძლიერებისათვის.

✦ ამას წინად „ცნობის ფურცელში“ მოთავსებული იყო ამბავი, რომ ბაქოში ნაფიცი ვექილის **სტაროსელსკის მოკვლის** ცნობილი საქმე მოსპობილი იქმნაო. როგორც ეხლა შეუტყვია „ნოვ. ობოზ.“-ს, ეს ჯერ არ გარდაუწყვეტიათ საბოლოოდ: ბრალმდებელმა დაასკვნა —საქმე მოსპობილ უნდა იქმნასო, მაგრამ საოლქო სასამართლოს ჯერ არაფერი დაუდგენია.

✦ საერო განათლების სამინისტროს წინადადება მიუცია ყველა ხელქვეით დაწესებულებათათვის, შეამოკლონ რაც შეიძლება **მიწერ-მოწერა** და მრავალგვარი ფორმალური მოთხოვნილება.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ რას ჰფიქრობენ გერმანიაში რუსეთის მთავრობის ცნობილ ნოტის შესახებ («გაიყვანეთ ჯარები პეკინიდანო»): «რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის წინადადების მიზანია დააჩქაროს მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ მოლაპარაკება, რაც ყველა სახელმწიფოებისათვის სასურველია. მაგრამ საჭიროა გულდასმით გაისინჯოს, თუ რამდენათ ხელს შეუწყობს რუსეთის მთავრობის წინადადება ამ მიზნის განხორციელებას. რა შთაბეჭდილებას მოახდენს პეკინიდან შეერთებულ ჯარების გაყვანა ჩინელებზედ. ჩინელები თავის დღეში ვერ გაიგებენ ევროპიელების ამ ღირსებით სავსე მოქმედებას; მათ თვალში იგი სისუსტისა და დამარცხების ნიშანი იქნება. ქვეყანამ იცის, თუ როგორ მოიქცა ჩინეთის მთავრობა იაპონელებთან ომიანობის შემდეგ. მან დაარწმუნა პროვინციელი ჩინელი, რომ გამარჯვებულ მტრის შემოსევა როდი მომხდარა, არამედ მოვიდნენ შესაბრალისნი შემწუხრებული მთხოვრები, რომელთაც დიდ-სულოვანმა და უხვმა იმპერატორმა ფულები (სამხედრო კონტრიბუცია) აჩუქა სახლში დასაბრუნებლად. საკვირველი არ იქნება, თუ პეკინიდან შეერთებულ ჯარების გაყვანასაც ეგრე ახსნიან და გაიგებენ. ამას არავინ ყურადღებას არ მიაქცევდა, რომ იგი მარტო ჩინეთის მთავრობის თავმოყვარეობის დაკმაყოფილებას ნიშნავდეს, მაგრამ ეს ასე არ არის.

ვინ მოელოდა ამ ორი თვის წინ, რომ ჩინეთის ჯარი რამე წინააღმდეგობას გაუწევდა ევროპიელებს, როცა ჩინელებმა სეიმური უკან დააბრუნეს, ჩინურმა ფანატიკოსობამ იფეთქა და იმდენად გაძლიერდა, რომ ტიანცზინში უცხოელებს საქმე გაუჭირდათ. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ეხლაც, პეკინიდან ჯარების გაყვანის შემდეგ, დამარცხებული ჩინელი ჯარები შეერთდებიან და ისევ შეებრძოლებიან მათის წარმოდგენით შეშინებულ მტერს. ეს მოძრაობა გავრცელდება მთელ ჩინეთში. თვით სამხრეთ ჩინეთის პროვინციები საიმედონი აღარ არიან; საკმარისია აღვნიშნოთ შანჰაის და იანცძეს ხეობის ეხლანდელი მეტად საშიში მდგომარეობა. შანსგან პროვინციების დიდი ქალაქები გაჩერებულნი არიან აქამდე იმიტომ, რომ პეკინის აღებამ მეტად შეაფიქრიანა ისინი, და როცა პეკინს თავს დაანებებენ, ჯარები თავს დაესხმიან უცხოელებს და მუსრს გაავლებენ მათ. მშვიდობიანობის ჩამოგდების საქმე ამით მეტად გაძნელდება და გაჭიანურდება. პეკინის ომის მაგიერ, რომელიც ეხლა თითქმის გათავებულია, ჩვენ გვექნება საშინელი ომიანობა, რომელიც მოედება მთელ ჩინეთს.

გარდა ამისა ჩინეთის ეხლანდელი მთავრობა არაფრის გულისათვის არ დაბრუნდება პეკინში აქედან ჯარების გაყვანის შემდეგაც, რადგან ამ მოქმედებას იგი მიიღებს სამხედრო ხრიკად, რომლის მიზანი იმპერატორისა და დედოფლის ხელში ჩაგდებაა. ამ გვარ გარემოებათა შორის მოკავშირენი დაჰკარგავენ იმ უპირატესობას, რომელიც მათ მოიპოვეს პეკინის აღებით და ვერ მიაღწევენ იმ მიზანსაც, რომელიც რუსეთის მთავრობის წინადადებას აქვს.

ამიტომ აუცილებელი საჭიროებაა, დიდის სიფრთხილით იქმნას განხილული და აწონ-დაწონილი ხსენებული წინადადება.

ახალი მდგომარეობა, რომელიც რუსეთის წინადადებამ შექმნა, ზვერათ გაადვილდებოდა, რომ იგივე მთავრობა ახსნიდეს მას ისე, რომ მას არ ჰსურს დასტოვოს პეკინში თავის ჯარები, მაგრამ იგი წინააღმდეგი არ იქნება, თუ სხვები არ გაიყვანენ თავიანთ ჯარებს. ის დიდი საქმე, რომელიც რუსეთს მანჩჟურიაში მოელის, კარგა დიდძალ ჯარებს მოითხოვს, და რადგანაც ჯარების მეტროპოლიდან მოყვანას დიდი დრო უნდა, რუსეთს შეუძლიან მოიხმაროს პეკინში მყოფი ჯარები. დანარჩენი უცხოელი ჯარები სრულებით საკმარისნი იქნებიან უმთავრეს მიზნის მიღწევისათვის ჩინეთში მტკიცე წეს-რიგის ჩამოგდებისათვის. კერძო ეგოისტური მიზანი არ უნდა ჰქონდეს არც ერთ მოკავშირეს, ამიტომაც იმედია, რომ ახალი მდგომარეობა თანხმობას უთანხმოებად არ შესცვლის».

∝ ინგლისი, როგორც უმთავრეს გაზეთების წერილებიდან სჩანს, ჯერ-ჯერობით წინააღმდეგი უნდა იყოს რუსეთის მთავრობის წინადადებისა. «ვისაც ჰსურს, მან გაიყვანოს თავის ჯარები პეკინიდან; მაგრამ ეს სავალდებულო არ იქნება დანარჩენებისათვის. რაც უნდა იყოს, ინგლისს სრულებით არ აქვს სურვილი გადასცეს ავტორიტეტი და უსაზღვრო გავლენა ვიღაც ლიხუნჩანგს, ან დახმარება აღმოუჩინოს ქვრივ დედოფალს და მის მომხრე რეაქციონერებს ჩინეთზე ბატონობის შოვნაში. მართებლობის სისტემის მირითადი ცვლილება—ეს არის პირველი და აუცილებელი პირობა ჩინეთის მთავრობის სიმტკიცისა. სხვაფრივ ჩინეთს არ ასცდება განაწილება.»

ინგლისმა, რასაკვირველია, უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩინეთის მმართველობის რეფორმის საქმეში.

ამერიკამ თითქმის სრული თანხმობა გამოაცხადა რუსეთის წინადადებაზედ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ვენური გავლენიანი გაზეთის აზრი ამავე საქმის შესახებ: «რუსეთს, რასაკვირველია, განზრახვა არა ჰქონია გრაფ ვალდერზეს მისიის არარად ქცევა. ეგ ყოვლად შეუძლებელია იმ მეგობრულ განწყობილებასთან, რომელიც რუსეთსა და გერმანიას შორის არსებობს. არც ის შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, ვითომც რუსეთის სურვილი იყოს—მანჩჟურიაში «თავისუფალი მოქმედება» შეეძლოს, რადგან თვით რუსეთის მთავრობის წინადადებიდან სჩანს, რომ იგი გაიყვანს აქედან ყოველ თავის ჯარებს, როგორც კი რკინის გზის დამთავრება უზრუნველ-ყოფილი იქნება. ამ გვარად ერთად-ერთი მიზანი რუსეთის მთავრობის ამ ახალ ნაბიჯისა არის ჩინეთის ტერიტორიის და ეხლანდელ მთავრობის ხელუხლებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩინეთის ეხლანდელ მთავრობას ორი მომხრე ეყოლება: რუსეთი და ამერიკა. ერთობ საეჭვოა, რომ სხვა სახელმწიფოებმა თანაუგრძნონ მათ. ამიტომ ახალ ნოტის გამოცხადებით იწყება ევროპიული კონცერტის დარღვევა. უეჭველი-კია, რომ მთელი ჩინეთი არ ღირს იმათ, რომ ევროპიელ სახელმწიფოებს შორის რამე სერიოზული უთანხმოება ჩამოვარდეს. ამიტომ ეს უთანხმოება რამე ფერად უნდა მოისპოს, თუნდა ამისთვის რომელიმე სახელმწიფო იძულებული შეიქნას უარჰყოს რომელიმე თავის ინტერესი.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**27 აგვისტო**

**ვაშინგტონი.** გენერალ ჩაფფიმ ბრძანება მიიღო მოამზადოს ამერიკის რაზმი პეკინიდან წასაყვანად. ამერიკის მთავრობა აგროვებს ტაკუში გემებს ჯარის წასაყვანად ფილიპინების კუნძულებზე.

ბრძანება ჯერჯერობით მხოლოდ მზადების შესახებ ლაპარაკობს.

**ბერლინი.** პეკინიდან იტყობინებიან 8 აგვისტოს, რომ იუნლუმ, პეიძანთან დამარცხების შემდეგ, თავი მოიკლა თითონაც და დახოცა თავის ოჯახის წევრებიო; აგრეთვე მოიქცაო ხეიუტუ; ლიპინხენი კი მოკლულ იქმნა დუნჩ-ქოუსთან ბრძოლის დროს, სადარის პრინცი ტუანი—არავინ იცის. ამბობენ, რომ იმპერატორი სიუანხუაფუში იმყოფება, პეკინიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ.

16 აგვისტოს მოკავშირეთ გაგზავნეს პეკინიდან ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ სადარაჯო რაზმები, რომლებიც იუწყებიან, რომ ყველიფე მშვიდობიანად არისო.

პრინცს ცინს მოელოდნენ ცინუეში, პეკინიდან ჩრდილოეთით; იაპონიის რაზმს უნდა მოეყვანა იგი პეკინში. ჩინეთის მინისტრები აპირებენ დიპლომატების ნახვასო.

პეკინის მცხოვრებთ შიმშილობა მოელის: იაპონელები ეხლაც ურიგებენ ხალხს ბრინჯს.

**შანხაი.** ფოსტას მოაქვს დაგვიანებული კორრესპონდენციები ტონკუდან. ტონკუს ტელეგრაფის სადგურში შეგროვდა მრავალი ოფიციალური დეპეშა ხუთი დღისა; ამის გამო კერძო დეპეშებს ჯერ არ ჰგზავნიან.

პეკინიდან იტყობინებიან, რომ პრინცი ცინის მდივანს მოლაპარაკება ჰქონდა იაპონიის ელჩთან, რომელიც უხნიერესი წევრია დიპლომატთა კორპუსისა.

11 აგვისტოს დიდ ცენზორს, დიდ მდივანს და ცუნგლი-იამენს მოლაპარაკება ჰქონდათ მაკდონალდთან; ამ მოლაპარაკების თანახმად პეკინში 21 აგვისტოს ჩამოვა პრინცი ცინი, რაც ითვლება მოლაპარაკების დაწყებად.

**ბერლინი.** იაპონურ წყაროებიდან იტყობინებიან 26 აგვისტოს, რომ ჩინეთის ცხენოსანი რაზმი მივიდა ცინხემდე და მიაცილა პრინცი ცინი სატახტო ქალაქამდე. რადგანაც იაპონელთა ჯარს უჭირავს ქალაქის ის ნაწილი, სადაც პრინცის სასახლეა, ჯარს თვალყური ეჭირება ცინის სასახლეზედ. სხვა პრინცების სასახლეებსაც იცავენ მოკავშირეთა ჯარები.

საქმეთა ვითარება სერიოზულია და ბოგდიხანი ამ გარემოებამ აიძულა მიეწერა ცინისთვის ჩქარა მივიდეს სატახტო ქალაქში საძნელო კითხვების გარდაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებათ.

**შანხაი.** ლიხუნჩანგმა განაცხადა, რომ მას ჩრდილოეთისკენ წასვლა შეეძლება ათი დღის შემდეგ, თუმცა მის წასაყვანად უკვე მომზადებულია გემი.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეიმ ოფიციალურად მიიღო რესპუბლიკელთა პარტიისაგან კანდიდატობა შეერთებულ შტატების პრეზიდენტობაზედ.

**ვერხნეუდინსკი.** 24 აგვისტოს, ღამით, მისოვოის მახლობლად სამხედრო მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. დაიმსხვრა 21 ვაგონი. დაჭრილი 9 კაცია და მოკლული 2 ცხენი.

**ლონდონი.** გამილტონმა კულვერგამპტონში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ის აზრი გამოსთქვა, რომ ყველა სახელმწიფოები წინააღმდეგნი არიან ჩინეთის განაწილებისა და ჩინეთის ტერიტორიის ევროპიელთაგან შეძენისა: ის თხოულობს ზარალის ზღვევას და გარანტიას, რომ შემდეგში ამგვარივე უწესოება არ განმეორდეს.

**პარიზი.** პიშონმა გამოუგზავნა დელკასსეს შემდეგი დეპეშა პეკინიდან: „დიპლომატთა კორპუსი საერთაშორისო ჯარების თანხლებით შევიდა იმპერატორის სასახლეში, სადაც მათ მიეგებნენ მოხელენი, რამდენიმე მინისტრი და ცუნგ-ლი-იამენის წევრები. ჯარებმა სასახლის წინ გაიარეს. ყოველივე მშვიდობიანად გათავდა ჩვენი წასვლის შემდეგ კარები დაკეტეს. საერთაშორისო ჯარები დაბრუნდნენ თავიანთ ბანაკებში. არც ერთი წევრი იმპერატორის სახლისა პეკინში არ არის“

**პეტერბურგის ბირჟა 25 აგვისტოს**

| | მყიდველობა. | გარიგება. | გამყიდველობა. |
|---|---|---|---|
| | მ ა | ნ ა | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 96 |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 99¼ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 97¼ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | 321 | — | — |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 274½ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 208¾ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 89 | — |
| ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |
| ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | — | — |
| 4% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | — | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა . . . | — | — | 86⅝(?) |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 გ. | 8½ კ. |
| სუკი . . . . . . | » | —15 კ. |
| » ცხვრისა . . . | » | —8½ კ. |
| » ღორისა . . . | 1 | —8 კ. |
| » კამეჩისა » » | » | —5 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | |
|---|---|---|---|
| პური ფურნისა I ხარ. | 1 გ. | 5 | კ. |
| » » II | » » | 3½ | » |
| » » III | » » | 3 | » |
| იგივე თონისა I | » » | 5 | « |
| » » II | » » | 4 | » |
| » » III | » » | 3½ | » |
| ლავაში ჟვ. მამ. I | » » | 6 | » |
| » » II | » » | 4 | « |

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0 | 9 მ. — კ. | № 4 | 6 მ 75 კ |
| № 1 | 8 » 25 » | № 5 | 6 » 50 » |
| № 2 | 7 » 75 » | № 6 | 6 » — » |
| № 3 | 7 » 25 » | № 7 | 5 » 75 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 50 კ. 57 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 59 კ. 60 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 6 მან. 80 კ.
„ ფშხვნილი „ 5 „ 30 »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გაუსუფ. 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 75 კ.—4 მ. — კ., გარეცხილი—მ. — კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | | კოგზალზე: | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 კაპ. | | |
| ქერი . . . . . | 1 | —მ. | —70 კ. | | |
| სიმინდი . . . . | 1 | — | —65— | | |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | —20— | | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 15 10— | | |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 30—— | | |
| კარტოფილი. . . | 1 | — | 65—— | | |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 10—— | | |
| თივა . . . . . | 1 | — | 25—— | | |
| ბზე. . . . . . | 1 | — | 23—— | | |

შუშა რეხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნადევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 80 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 5 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მესამმელი 40 მ., კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.დამ 34 მ.,

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში დირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი №** 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის

საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

საფოსტო მატარებელი № 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

სახალხო მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

სახალხო მატარებელი № 6 ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საქალაქო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საქალაქო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საქალაქო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში ჩმიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10. წ. საღ.; შორაპანში დი სღამ. 1 ს.


## უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევა

### დამზღვევ საზოგადოებაში

# „როსსია“-ში

საზოგადოება „როსსია“ სასარგებლო პირობებით:

**აზღვევს** ვერმო კაცთ ყოველგვარ უბედურ შემთხვევისაგან, იმ პირობით, რომ ყველა მის მიერ შემოტანილი პრემია დაუბრუნდეს, და უამპიროობოდაც.

**აზღვევს** მგზავრებს რკინის გზებითა და ზღვითა და მდინარეთა გზებით მოსიარულეთ მთელის სიცოცხლის განმავლობაში, ერთის წლით და ნაკლების ვადითაც.

**აზღვევს** ერთობილად ყოველგვარ უბედურ შემთხვევისაგან მთავრობის, საზოგადოებრივ დაწესებულებათა და სამრეწველო და საკომერციო საწარმოებლებში მოსამსახურეთ.

**აზღვევს** ერთობილად ფაბრიკებისა, ქარხნებისა, შენობებისა და სხვა სამრეწველო საწარმოებლების მუშათა.

მიეცემათ დაშავებულთ უბედურ შემთხვევისაგან

ხასყიდელი 4.500,000 მან. მეტი.

მსურველთა განცხადება დაზღვევის შესახებ მიიღება და ყოველგვარი ცნობები მიეცემა საზოგადოების გამგეობაში ს.-პეტერბურგს (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), საზოგადოების ტფილისის განყოფილებაში (სერგიევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების აგენტებისაგან იმპერიის ყველა ქალაქში.

**მგზავრთა დაზღვევა** შეიძლება აგრეთვე რკინის გზების მთავარ-სადგურზედა და გემ-ხომალდთა მთავარ ნავთ-სადგურებზე. 4—6—3



წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გ ა მ გ ე ო ბ ი ს ა გ ა ნ.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

### წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმლებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის კ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისავე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

### სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაწილი | I | საერო კრება | 60 კ. |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ (III და IV) |
| და ნაწილი | IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |

ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . 30 „
იგდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . 30 „

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება


გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Августа 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განჯის დიდი ქუჩა, № 27.